



საქართველო  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულო



31/07/2018

32-07-4-201807311455



N 32

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
დადგენილება №32  
2018 წლის 31 ივლისი  
ქ. ლანჩხუთი

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით (პირობებით/ უპირობოდ) პრივატიზების, სარგებლობის უფლებით გადაცემისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მაისის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის შესაბამისად, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**მუხლი 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით (პირობებით/უპირობოდ) პრივატიზების, სარგებლობის უფლებით გადაცემისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 25 მაისის N17 დადგენილებაში (ვებგვერდი 01/06/2016; სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.112.016268) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით (პირობებით/უპირობოდ) პრივატიზების, სარგებლობის უფლებით გადაცემისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ტიპური ფორმებისა და ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, გამარჯვებულზე გასაცემი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“

ბ) დადგენილების მე-3 მუხლის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 3<sup>1</sup> მუხლი:

„31 მუხლი. დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებისას, აუქციონში გამარჯვებულზე გასაცემი საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმა, დანართი N4-ის შესაბამისად.“

**მუხლი 2.** დადგინდეს ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.  
ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით  
პრივატიზებისას, აუქციონში გამარჯვებულზე გასაცემი საკუთრების  
დამადასტურებელი მოწმობის ფორმა



საქართველო  
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია

საკუთრების მოწმობა №

ედლევა .....  
(მესაკუთრე და მისამართი)

მასზედ, რომ გადაეცა საკუთრებაში.....  
(ქონების დასახელება და მისამართი)

მომრავი (უძრავი) ნივთი .....

საკადასტრო კოდი.....

მიწის ფართობი .....

კატეგორია.....

შენიშვნა-ნაგებობის ფართი.....

აუქციონის ოქმი №..... და თარიღი.....

მოწმობა შედგენილია 3 ეგზემპლარად. ორი ეგზემპლარი გადაეცემა მესაკუთრეს, რომელიც ერთ ეგზემპლარს წარუდგენს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ხოლო მესამე ეგზემპლარი ინახება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში. მოწმობა ძალაშია საკადასტრო აზომვით ნახაზთან, ხელშეკრულებასთან და მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად, რომელიც მოწმობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

გაცემულია 20 .. წლის .....

(რიცხვი) (თვე)

აუქციონატორი /-----/

ხელმოწერა

სახელი, გვარი